



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №21

28 ოქტომბერი 2020 წელი

ქ. ბაღდათი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა.“ პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N24 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე, ვებ-გვერდი: www.matsne.gov.ge, 30/12/2019 სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.124.016380):

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით (ათასი ლარი):

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა				2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
I. შემოსავლები	9383.2	12595.4	6379.3	6216.1	14905.4	6834.7	8070.7	
გადასახადები	826.4	5741.1	5741.1	0.0	5374.5	5374.5	0.0	
გრანტები	7790.5	6216.1		6216.1	8870.7	800.0	8070.7	
სხვა შემოსავლები	766.3	638.2	638.2	0.0	660.2	660.2	0.0	
II. ხარჯები	5305.7	6163.8	5642.7	521.1	7142.5	6845.2	297.2	
შრომის ანაზღაურება	1362.8	1588.5	1520.5	68.0	1650.0	1500.0	150.0	

საქონელი და მომსახურება	594.2	874.9	761.0	114.0	1035.7	961.0	74.7
პროცენტი	52.4	30.0	30.0	0.0	36.1	36.1	0.0
სუბსიდიები	2638.5	2796.0	2748.6	47.4	3571.7	3522.2	49.5
გრანტები	1.6	5.4	5.4	0.0	18.1	18.1	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	388.7	446.0	442.2	4.0	511.3	506.0	5.3
სხვა ხარჯები	267.5	422.7	135.0	287.7	310.7	211.8	98.8
III საოპერაციო სალდო	4077.5	6431.6	736.6	5695.0	7762.9	-10.5	7773.4
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	5188.8	8033.8	794.2	7239.6	8772.0	380.5	8391.5
ზრდა	5516.9	8176.4	936.8	7239.6	9448.4	1056.9	8391.5
კლება	328.1	142.6	142.6	0.0	676.4	676.4	0.0
V მთლიანი სალდო	-1111.3	-1602.2	-57.6	-1544.6	-1009.1	-391.0	-618.1
VI ფინანსური აქტივების ცვლილება	-1382.6	-1622.2	-77.6	-1544.6	-1064.8	-446.8	-618.1
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	1382.6	1622.2	77.6	1544.6	1064.8	446.8	618.1
VII. ვალდებულებების ცვლილება	-271.3	-20.0	-20.0	0.0	-55.7	-55.7	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	271.3	20.0	20.0	0.0	55.7	55.7	0.0
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (ათასი ლარი)

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა				2020 წლის პროექტი	
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	9711.3	12738.2	6521.9	6216.1	15581.8	7511.1	8070.7
შემოსავლები	9383.2	12595.4	6379.3	6216.1	14905.4	6834.7	8070.7

არაფინანსური აქტივების კლება	328.1	142.6	142.6	0.0	676.4	676.4	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გარეშე)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	11094.0	14360.2	6599.5	7760.7	16646.6	7957.8	8688.8
ხარჯები	5305.7	6163.8	5642.7	521.1	7142.5	6845.2	297.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	5516.9	8176.4	936.8	7239.6	9448.4	1056.9	8391.5
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	271.3	20.0	20.0	0.0	55.7	55.7	0.0
ნაშთის ცვლილება	-1382.6	-1622.2	-77.6	-1544.6	-1064.8	-446.8	-618.1

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **14 905.4** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	9383.2	12595.4	6379.3	6216.1	14905.4	6834.7	8070.7
გადასახდელები	826.4	5741.1	5741.1	0.0	5374.5	5374.5	0.0
გრანტები	7790.5	6216.1	0.0	6216.1	8870.7	800.0	8070.7
სხვა შემოსავლები	766.3	638.2	638.2	0.0	660.2	660.2	0.0

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეშვიდე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები **7 142.5** ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	5305.7	6163.8	5642.7	521.1	7142.5	6845.2	297.2
შრომის ანაზღაურება	1362.7	1588.5	11520.5	68.0	1659.0	1590.0	69.0

პროცენტები	52.6	30.0	30.0	0.0	36.1	31.8	0.0
სუბსიდიები	2638.5	2796.0	2748.6	47.4	3571.7	3522.2	49.5
გრანტები	1.6	5.4	5.4	0.0	18.1	18.1	0
სოციალური უზრუნველყოფა	388.7	446.2	442.2	4.0	511.3	506.0	5.3
სხვა ხარჯები	267.5	402.7	115.0	287.7	310.7	211.8	98.8

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მერვე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **8 772.0** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 9 448.4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2018 წლის აქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	54.8	137.0	57.1
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5407.2	7629.4	8377.2
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	-	-	0.0
04 00	განათლება	1.6	410.0	1011.8
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1.2	0.0	2.2
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	52.1	0.0	0.0
	სულ ჯამი	5516.9	8176.4	9448.4

ბ) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება **676.4** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი
არაფინანსური აქტივების კლება	328.1	142.6	676.4
ძირითადი აქტივები	286.8	102.6	447.6
შენობა ნაგებობები			447.6
არასაცხოვრებელი შენობები			447.6
შემოსულობა სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა არესპუბლიკების ადგილ.თვითმ. ერთეულებისა) ტერიტორიაზე და სახელმწიფოს სარგებლობაშია			447.6
არაწარმოებული აქტივები	41.3	40.0	213.3

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეცხრე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1902.2	2456.3	2685.9
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1902.1	2376.3	2552.9
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1902.1	2356.3	2512.9
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	20.0	40.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	80.0	133.0
7.2	თავდაცვა	79.4	80.3	85.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	4652.7	7117.7	8295.9
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	0.0	0.0
7.4.2.1	სოფლის მეურნეობა	0.0	0.0	0.0
7.4.4	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	353.4	774.6	1601.3
7.4.4.3	მშენებლობა	353.4	774.6	1601.3
7.4.5	ტრანსპორტი	4291.1	5446.7	5910.6
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4291.1	5446.7	5910.6
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	-	-	0.0
7.4.7.3	ტურიზმი	-	-	0.0
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	8.2	896.3	784.0
7.5	გარემოს დაცვა	1573.3	1375.8	1279.5
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამამუშავება და განადგურება	0.0	870.0	1215.1
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	758.4	505.8	59.5
7.5.3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	0.0	0.0	0
7.5.4	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტის დაცვა	-	-	5.0
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	814.9	0.0	0.0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	119.6	225.1	320.7
7.6.1	ბინათმშენებლობა	1.6	74.6	116.1
7.6.3	წყალმომარაგება	0.0	0.0	13.0
7.6.4	გარე განათება	118.0	135.7	191.6
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	0.0	14.8	0.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	46.5	47.4	88.0
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	46.5	47.4	88.0

7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1250.0	924.6	1085.0
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	263.5	297.6	332.0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	938.9	562.0	683.0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	47.6	65.0	80.0
7.9	განათლება	560.8	1504.1	2284.4
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	560.8	999.0	1207.9
7.9.2	ზოგადი განათლება	0.0	0	1076.5
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	0.0	505.1	1076.5
7.10	სოციალური დაცვა	637.9	194.0	522.1
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	19.9	194.0	219.9
7.10.1.1	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	0.0	162.0	172.9
7.10.1.2	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა	19.9	32.0	47.0
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0.0	1.6	2.5
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	6.3	5.0	8.0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	25.8	40.0	44.5
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	-	-	74.9
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	186.0	50.0	0.0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	399.8	338.4	172.4
	სულ	10822.6	14360.2	16646.6

7. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთორმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -55.7 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
ვალდებულებების ცვლილება	-271.3	-20.0	-55.7
ზრდა	0.0	0.0	0.0
კლება	271.3	20.0	55.7

2. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის ვალის მოცულობა **91.8** ათასი ლარის ოდენობით:

კრედიტორი	საპროგნოზო ვალი
სულ მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ზღვრული მოცულობა	91.8
1 მუნიციპალური განვითარების ფონდი	91.8

პროცენტი	36.1
ძირი	55.7

8. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთხუთმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვროს **2 770.9** ათასი ლარით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2770.9
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	2465.1
01 01 01	ბაღდათის საკრებულო	590.1
01 01 02	ბაღდათის მერია	1790.0
01 01 03	სამხედრო აღიცხვის და გაწვევის უზრუნველყოფა	85.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	190.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	40.0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდი	41.2
01 02 03	სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება და კანონით გათვალისწინებული თანხების ჩამოჭრა	0.0
01 02 04	სესხის მომსახურება და დაფარვა (მგფ)	91.8
01 02 05	თანამშრომელთა პროფესიული სწავლების ხარჯი	17.0
01 03	სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	0.0
01 03 01	სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა	0.0
01 03 02	ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა	0.0
01 04	საგანგებო მდგომარეობის მიზნობრივი პროგრამა	115.8

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სესხის მომსახურება და დაფარვა (მგფ)	დაფინანსება (ათასი ლარი)
	01 02 04		91.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური	

ქვეპროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტს „მუნიციპალური განვითარების ფონდის“-გან აღებული სესხით შეძენილი აქვს თანამედროვე ნაგავმზიდები და ნაგვის ურნები. აღნიშნული სესხის ჯამური მოცულობა შეადგენს 584 139 ლარს. გადახდა დაიწყო 2018 წელს და უნდა დასრულდეს 2026 წელს. წლის განმავლობაში თანხის გადახდა ხორციელდება ორ ეტაპად: 28 აპრილს და 28 ოქტომბერს.
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული სესხების მომსახურება, რომლის საპროგნოზო მოცულობა 2020 წლისთვის 91.8 ათასი ლარია

9. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთექვსმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის პრიორიტეტის დაფინანსება 8 676.1 ათასი ლარით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	8676.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	5910.6
02 01 01	ტროტუარების მოწყობა, მოვლა-პატრონობა	0.0
02 01 02	ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია	5910.6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	72.5
02 02 01	სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	59.5
02 02 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	13.0
02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	191.6
02 04	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	121.1
02 04 01	მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია	116.1
02 04 02	საკადასტრო რუქის დამზადება	5.0
02 04 03	შადრევნების ექსპლოატაცია	0.0
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	420.3
02 06	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა	210.7

02 07	მშენებლობა-რეაბილიტაცია	1601.3
02 07 01	მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია	1588.0
02 07 02	საყრდენი კედლების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, მოწყობა, რეაბილიტაცია	13.4
02 08	მაღალმთიანი დასახლების განვითარების პროგრამა	0.0
02 09	საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა	148.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 01		5910.6
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება, შიდასასოფლო და შიდასაუბნო გზების ბეტონის საფარის მოწყობა, გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა. საბიუჯეტო სახსრებით დაგეგმილია მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება. პროექტების ძირითადი ნაწილი ხორციელდება რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები რომელმაც 2019 წელს 4098,5 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2020 წლის გეგმა განსაზღვრულია 5259.0 ათასი ლარით		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზერუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 01 02		5910.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების კაპიტალური შეკეთება, შიდასასოფლო და შიდასაუბნო გზების ბეტონის საფარის მოწყობა, გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა. საბიუჯეტო სახსრებით დაგეგმილია მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება. პროექტების ძირითადი ნაწილი ხორციელდება რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით		

ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზერუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება
---	---

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 02		72.5
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, ა.(ა).პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სანიაღვრე არხების და წყლის სისტემების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები. მოიცავს როგორც არსებული სისტემის მოვლასა და რეაბილიტაციას ასევე ქსელის გაფართოებას, დაზიანებული ქსელის ნაწილის რეკონსტრუქციას, არსებული წყლის რეზერვუარების დაქლორვას		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია წყლის სისტემების და სანიაღვრე არხების გამართული ფუნქციონირება, სადრენაჟე ქსელის მოწესრიგება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 02 01		59.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, ა.(ა).პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“		
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები. მოიცავს როგორც არსებული სისტემის მოვლასა და რეაბილიტაციას ასევე ქსელის გაფართოებას, დაზიანებული ქსელის ნაწილის რეკონსტრუქციას. 2020 წლისთვის დაგეგმილია სისტემის გაწმენდითი სამუშაოების წარმოება.		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სანიაღვრე არხების გამართული ფუნქციონირება, სადრენაჟე ქსელის მოწესრიგება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 01 02		13.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, ა.(ა).პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული წყლის სისტემის რეაზერვუარების დაქლორვა, რამოდენიმე სოფელში საუბნო წყლის სისტემების მოწყობა
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია დაქლორვითი სამუშაოების შედეგად სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესება, წყალგაყვანილობის სისტემის მოწყობა/განახლება და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 03		191.6
პროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ქუჩების, მოედნების, სკვერების განათებას, გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და ექსპლოატაციას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია-განვითარება, არსებული ნათურების ეკონომიური ნათურებით ჩანაცვლება, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, განათების ახალი წერტილების მოწყობა.		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია გარე განათების ქსელმა ეტაპობრივად სრულად მოიცვას დასახლებული ადგილები და შიდა გზები და უზრუნველყოს ქსელის გამართლი ფუნქციონირება ნებისმიერ კლიმატურ პირობებში		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 04		121.1
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, ეკონომიკის სამსახური, ა.(ა).პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებში იგულისხმება მუნიციპალიტეტში არსებული მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია, არსებული შადრევნების ექსპლოატაციისთვის საჭირო მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, მუნიციპალიტეტის		

		საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხვა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის მიზანია მოწესრიგდეს ქალაქის იერსახე, შეიქმნას მიმზიდველი გარემო ქალაქის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისთვის

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 04 01		116.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში არსებული მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია. აღნიშნული სამუშაოს განხორციელება იგეგმება მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ნაშთებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით.		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტირებული სახურავები და ფასადები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საკადასტრო რუქის დამზადება	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 04 02		5.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხვა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხვა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 05		420.3
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური,		
პროგრამის აღწერა	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით, რომელიც სპეციალური ფორმულით ნაწილდება მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებზე. შესასრულებელი პროექტების განსაზღვრა ხდება სოფლის კრებების შესაბამისად და ხორციელდება მერიის და მოსახლეობის მიერ. მუნიციპალიტეტის მხრიდან აგრეთვე ხორციელდება მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხის თანადაფინანსება		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სოფლის კრების ოქმით განსაზღვრული პროექტების შესრულება		

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 06		210.7
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური,		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მოხდება შენობა-ნაგებობების, ნაპირსამაგრი ჯებირების და საყრდენი კედლების, შიდასაუბნო და შიდასასოფლო გზების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და შეკეთების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საჭირო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად კანონმდებლობით მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა		

პროგრამის დასახელება	კოდი	მშენებლობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 07		1601.3
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული და ახალი ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია, როგორებიცაა: არასაცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობები, საყრდენი კედლები და ნაპირსამაგრი ნაგებობები, სხვადასხვა დანიშნულების მქონე ობიექტები მშენებლობა, მოწყობა, შეკეთება		

პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	არსებული შენობა-ნაგებობების შეკეთება/რემონტი და სხვადასხვა დანიშნულების ახალი ობიექტების მშენებლობა
--	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 07 01		1588.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური,		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული და ახალი არასაცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების ,სხვადასხვა დანიშნულების მქონე ობიექტები მშენებლობა, მოწყობა, შეკეთება .		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გამართულად ფუნქციონირებადი შენობა-ნაგებობები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საყრდენი კედლების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, მოწყობა, რეაბილიტაცია	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 07 02		13.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური,		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზების გამაგრებითი სამუშაოების საყრდენი კედლების მოწყობის გზით და მდინარეების ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოწყობა. ქვეპროგრამის დაფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენს სტიქიის ლიკვიდაციისა და პრევენციისთვის საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები.		
ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გზების გვერდულების გამაგრებითი სამუშაოების წარმოება, ნაპირსამაგრი ნაგებობების/ჯებირების მოწყობა-რეაბილიტაცია სტიქიის ლიკვიდაცია/პრევენციისთვის		

პროგრამის დასახელება	კოდი	საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება (ათასი ლარი)
	02 09		148.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური,		

პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტენდერით გამოვლენილი კომპანიის მიერ მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ინსპექტირება-ექსპერტიზა.
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია სტანდარტებთან შესაბამისი და ხარისხიანი სამუშაოების მიღების უზრუნველყოფა

10. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეჩვიდმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვროს 1 220.1 ათასი ლარით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1220.1
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1215.1
03 01 01	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება	1215.1
03 02	ქალაქის გამწვანება	5.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება (ათასი ლარი)
	03 01		1215.1
პროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება, ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება, დამატებითი ურნებისა დადგმა		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამა ემსახურება ტერიტორიის დასუფთავებას, ქალაქში პირუტყვის მოძრაობის აღკვეთას და ზამთრის სეზონზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას		

პროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის გამწვანება	დაფინანსება (ათასი ლარი)
----------------------	------	--------------------	--------------------------

	03 02	5.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“	
პროგრამის აღწერა	ქალაქის იერსახის მოწესრიგებისა და ეკოლოგიაზე ზრუნვის ფარგლებში განხორციელება არსებული მწვანე საფარის მოვლა-შენარჩუნება და ზრდა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში და ქალაქის ტერიტორიაზე ბალახის გათიბვა, ხეების შეთეთრება და მოჭრა-გადაბეღვა	
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების მიზანს და შედეგს წარმოადგენს ქალაქის იერსახის შენარჩუნება-გაუმჯობესება და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მოწესრიგება	

11. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთვრამეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. განათლება“

განათლების პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვროს **2 284.4** ათასი ლარით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი
04 00	განათლება	2284.4
04 01	სკოლამდელი აღზრდა	1207.9
04 01 01	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანება“	1207.9
04 02	სასკოლო განათლების ხელშეწყობის პროგრამა	1076.5

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდა	დაფინანსება (ათასი ლარი)
	04 01		1207.9
პროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანება“, ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდის სფეროში მოქმედი სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დანერგვასა, აღსაზრდელების კვებით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, განვითარება და ახალი სააღმზრდელო დაწესებულებების მშენებლობა.		

პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	უსაფრთხო გარემოს შექმნა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.
---	---

პროგრამის დასახელება	კოდი	სასკოლო განათლების ხელშეწყობის პროგრამა	დაფინანსება (ათასი ლარი)
	04 01		1076.5
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, ადმინისტრაციული სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა გულისხმობს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შეყიდვის და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 09/01/2020 წლის N27 განკარგულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება		

12. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეცხრამეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვროს 1 085.0 ათასი ლარით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის და სპორტული ღონისძიებები	1085.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	322.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	5.0
05 01 02	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი“	315.0
05 01 03	ა.(ა).ი.პ „საფეხბურთო კლუბი საირმე“	0.0
05 01 04	ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობა	2.0
